ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წ ყ ა ლ ტ უ ბ ო
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 36 21

07/02/2020

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ქეთევან კირტავას შვებულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ" პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-3 და ბე-4 პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **ქეთევან კირტავას** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს , ნება დაერთოს ისარგებლოს გამოუყენებელი 2019 წლის ანაზღაურებადი შვებულებით, 9 სამუშაო დღე, მ/წლის 10 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ქეთევან კირტავას მოვალეობის შესრულება დროებით დაევალოს ამავე განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ნინო ლომიძეს.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს ქეთევან კირტავასათვის საშვებულებო თანხის, ხოლო დამატებითი ფუნქციის შესრულებისათვის ნინო ლომიძისათვის თანამდებობრივი სარგოს გარდა, სახელფასო დანამატის გაცემა ზღვრული ოდენობის ფარგლებში, საქართველოს კანონდებლობით დადგენილი წესით.

4 . ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ